საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/118 „15" ივლისი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

I. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის პირობების მოწესრიგების მიზნით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა განხორციელდეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში.

2. საერთო სასამართლოს მოსამართლის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ სარგებლობს სამსახურებრივი ავტომანქანით და:

ა) „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე მივლინებულია ორზე მეტ სასამართლოში;

ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული აქვს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;

გ) ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას;

დ) ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით.

3. გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საერთო სასამართლოების

დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვროს საწვავის ლიმიტები სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისა და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მოხელეების მიერ გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

4. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ იქმნება საწვავის სარეზერვო ფონდი, რომელიც ხმარდება გაუთვალისწინებელ ღონისძიებებს.

5. საერთო სასამართლოებისათვის სარეზერვო ფონდიდან საჭირო ოდენობის საწვავის ყოველთვიურ ლიმიტს ზევით გამოყოფა ხორციელდება შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მოტივირებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

6. სამსახურებრივი მივლინების დროს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისას, საწვავით უზრუნველყოფა ხორციელდება სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დადგენილი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში, ხოლო თუ ლიმიტით განსაზღვრული რაოდენობა არ არის საკმარისი, საწვავის გამოყოფა ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით.

7. გაცემული საწვავის (მათ შორის ყოველთვიურ ლიმიტს ზევით) ჩამოწერა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა ხორციელდება გაცემის უწყისების საფუძველზე.

II. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2008 წლის 16 ივლისიდან.

გიორგი ხიზანიშვილი

საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი